ყურადღება!!!

სურსათის ეროვნული სააგენტო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტო **გაფრთხილებთ**, რომ საქართველოში გავრცელებულია ინვაზიური მავნებელი მწერი **აზიური ფაროსანა**, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის თხილის, თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის სხვადასხვა სახეობას, კენკროვნებს და ბოსტნეულ კულტურებს!

რა არის აზიური ფაროსანა?

აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბაღლინჯო) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება მასპინძელი მცენარეებით, ზრდასრული მავნებლის ზომა 12–17 მმ–ია, განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურით, ფეხებზე, მუცლის გვერდებსა და ულვაშებზე თეთრი ზოლებით.

ზიანი

მწერმა 2016 წლის სეზონზე თხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. თხილის გარდა, ზრდასრული ფაროსანა და მატლი (ნიმფა) აზიანებს სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებს, ამცირებს რა მათ ხარისხს და ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსადეგარს ხდის. იგი განსაკუთრებულ ზიანს აყენებს თხილს, ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას, მზესუმზირასა და სიმინდს. მავნებლის ძლიერი აფეთქების დროს ზარალმა შესაძლოა, მოსავლის ღირებულების 70%–იც კი შეადგინოს.

მაღალი რისკი	თხილი, ვაშლატამა, ვაშლი, ბადიჯანი, მსხალი, ყურძენი, ატამი, პომიდორი, წიწაკა, სიმინდი

საშუალო რისკი	გარგარი, მოცვი, ალუბალი, კიტრი

დაბალი რისკი	სტაფილო, ხახვი, კარტოფილი, სალათი

სიცოცხლის ციკლი

მავნებელთა უმეტესობა გამოსაზამთრებლად შედის საცხოვრებელ ბინებში, ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარებისა და ფანჯრის ღრიჭოებში, ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღუროებში. ზამთრის ძილიდან გამოსული აზიური ფაროსანა აპრილის ბოლოდან – მაისში ივნისის შუა რიცხვებამდე გამოდის სახლებიდან და ტყეებიდან. ზრდასრული ფაროსანა შესაძლოა გადავიდეს ბაღებში და დაიწყოს კვერცხდება გროვების სახით ფოთლის ქვედა მხარეზე. ეს პროცესი გრძელდება ივნისიდან სექტემბრის დასაწყისამდე. კვერცხი მომწვანო-თეთრია, გამოჩეკვის წინ იძენს მოოქროსფერო ფერს. გამოჩეკვის შემდეგ ნიმფები (მატლები) იწყებენ მასპინძელი მცენარეების მწვანე ნაწილებით კვებას. კვება გრძელდება 4-5 კვირის განმალობაში, რის შედეგადაც კულტურა მნიშვნელოვნად ზიანდება.

თუ შენიშნავთ ფაროსანას

თქვენ სამოსახლოში ან ბაღში, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დარეკოთ **ცხელ ხაზზე:**

სამეგრელო – 16 600 / გურია – 16 006 / იმერეთი – 16 601

(ზარი უფასოა)

სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საინფორმაციო სამსახურის ცხელი ხაზი 15 01

თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზირი N6
www.nfa.gov.ge

USAID REAP
ამერიკელი ხალხისგან